საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი

GIEC

# პრესრელიზი

**GIEC-ის საუკეთესო ენერგეტიკოსები : არჩილ ფორჩხიძე და ბედან ავალიანი**

საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის გენერალურმა დირექტორმა ლევან ვეფხვაძემ თბოდეპარტამენტის გამორჩეული პროფესიონალები დააჯილდოვა.




**ბედანი ავალიანი-** საშემკეთებლო სამსახურის მე-6 თანრიგის ზეინკალია. ის წლებია რაც საწარმოშია დასაქმებული და დაკისრებულ სამუშაოს მაღალი პროფესიულ დონეზე ასრულებს. ბედანი ავალიანი კოლეგების და მენეჯმენტის გადაწყვეტილებით დეკემბრის თვის რჩეული გახდა.




ეს ტიტული დაიმსახურა ელექტრო საამქროს მთავარი სქემისა და ს.დ.ა.-ს წრედების მომსახურების ჯგუფის IV თანრიგის ელ.ზეინკალმა **არჩილ ფორჩხიძემ**.2012 წლის ოქტომბრის თვიდან დღემდე ის ელექტრო საამქროს ს.დ.ა.-ს ჯგუფში ელ.ზეინკლად მუშაობს. მიღებული აქვს მონაწილეობა თბოსადგურში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესებში (SKADA-ს პროექტი; გენერატორის აგზნების ავტომატური რეგულირების მონტაჟი-ექსპლუატაციაში შეყვანა; ციფრული მზომი ელ.ხელსაწყოების მონტაჟი-ექსპლუატაციაში შეყვანა და ა.შ.). შეგახსენებთ , რომ , ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის" ინიციატივით სხვადასხვა საწარმოში უკვე არაერთი გამორჩეული პროფესიონალი გამოვლინდა.

-------------კორპორაცია" (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. ამჟამად ჯი-აი-ჯი კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერგიის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის"დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი

**"Georgian International Energy Corporation" Ltd**
D Aghmashenebeli str. 2, 1300 Gardabani
Tel.: +995 32 247 04 25; +995 32 247 04 25
Fax: +995 24 218 07 45

გთხოვთ მოგვმართოთ:
E-mail: m_manjgaladze@gig.ge
E-mail: n_bandzeladze@gig.ge

შემოგვიერთდით:
Georgian Industrial Group Holding